

**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და თვითდაფინანსების ცენტრის  
სახსრებით შეძენილი ხელსაწყო-მოწყობილობები და აღჭურვილობა**

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი ახალ სასწავლო წელს განახლებული და შევსებული ლაბორატორიებით ხვდება.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (№117754; სამეცნიერო ხელმძღვანელი - ოლღა სესკურია) დაფინანსებით ზაფხულის პერიოდში შეძენილი იქნა:

11 500 ლარის ღირებულების საველე აღჭურვილობა და ინვენტარი;

18 000 ლარის ღირებულების თანამედროვე ლაბორატორიული პოლარიზაციული მიკროსკოპი (იტალიური წარმოების OPTIKA B-510P) ორი ციფრული კამერით (C-P6 და C-B10);



**მიკროსკოპი OPTIKA B-510P და დრონი (PHANTOM-4)**

5 500 ლარის ღირებულების პროფესიული დრონი (PHANTOM-4) კამერით, საველე-გეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად;

12 900 ლარის ღირებულების გემოლოგიური ლაბორატორია (გემოლოგიური მიკროსკოპი, პოლარისკოპი, დიქროსკოპი, რეფრაქტომეტრი, რეფრაქციული ინდექსის სითხე, კონოსკოპი);



**გეოლოგიური ლაბორატორია**



**მექანიკური  
ლევერიჯი**



**მულტიტესტერი**

თვითდაფინანსების ცენტრის შემოსავლებიდან შეძენილი იქნა 7500 ლარის ღირებულების ძვირფასი ქვების სადიაგნოსტიკო ხელსაწყოები (2 ელექტრო და 2 მექანიკური ლევერიჯი, 2 ცალი ტესტერი).

შეძენილი ხელსაწყო-მოწყობილობებით ისარგებლებენ როგორც სტუდენტები, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების პროცესში, ასევე, თანამშრომლები, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო სამუშაოების ჩასატარებლად.